# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03-06/14

ქ. ბათუმი

13 მაისი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მ/შ თეა დავითაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ორგსერვისი ს/კ 212693851 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში -ხელშეკრულება) შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი/მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაცია“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მათ მიერ დამოწმებული „ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ“ (ფორმა N3), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ A3 ქაღალდის (შემდგომში - საქონელი) მოწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (CPV-30100000; )

2.2. საქონლის ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით, ფორმა N3-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საერთო ღირებულება შეადგენს 135.00 (ასოცდათხუთმეტი) ლარი და 00 თეთრი.

3.2. ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურებასთან მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. ანგარიშსწორებისათვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების ბიუჯეტი.

4.5. ანგარიშსწორებისათვის საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

### 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სათანადოდ უფლებამოსილი პირი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი-ავთანდილ გეგეშიძე.
5.2. საქონელი/მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ ფაქტურის დადასტურების ან/და ზედდებულის გაფორმების შემდეგ.
5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის/მომსახურების რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 6. მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის/მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ.N125
6.2. საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 20 მაისის ჩათვლით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთ შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხართა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა და სხვა პირობები

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობიდან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელსეკრულების მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.
10.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა
ს/კ: 245428942
მის: ქ.ბათუმი, მელიქიშვილის ქ. N125
ანგ.№ GE97LB0121115092052000
სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკი კოდი: LBRTGE22

დირექტორის მ/შ: თეა დავითაძე

**მიმწოდებელი:**

შპს ორგსერვისი
ს/კ 212693851
მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 86/90
ანგ. № GE32TB0300000030467356
სს თიბისი ბანკი
ბანკი კოდი: TBCBGE22

დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე

Khvicha Nemsadze 62004014898
Digitally signed by Khvicha Nemsadze
Date: 2022.05.13 16:25:56

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ
ფორმა N3
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

| N | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | (ლარი) | (ლარი) |
| 1 | ქაღალდი 240გ, A3 ფ. | ცალი | 270 | 0.50 | 135.00 |
| | სულ | | | | 135.000 |

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

13.05.2022 წ.

ქ.ბათუმი

`სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ და თეა დავითაძე და სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ავთანდილ გეგეშიძე, შემდგომში მომწოდებლის შერჩევაში მონაწილე და ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი, ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ბაზრის კვლევის შედეგად შერჩეულ მიმწოდებელთან, შპს ორგსერვისთან ს/კ 212693851 (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ხვიჩა ნემსაძესთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში და გამარტივებული შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლის დირექტორი:

თეა დავითაძე

ბაზრის კვლევის განმახორციელებელი და მომწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი:

ავთანდილ გეგეშიძე

LEPL BATUMI №20 PUBLIC SCHOOL * 245428942 *